




ნესტან სულავა

ვეფხისტყაოსნის ახალი მინიატურული გამოცემის შესახებ



2007 წელს საქართველოს მნიგნობართა ასოციაციამ განახორციელა შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსნის მინიატურული გამოცემა. მას საფუძვლად უდევს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული 1988 წლის გამოცემა. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, განახლებულმა კომისიამ, რომელსაც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობს, გაითვალისწინა

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შენიშვნები და მასში შეიტანა 200-მდე შესწორება, ამოიღო ზოგიერთი ის სტროფი, რომელიც რუსთველისეულად არ ცნო, ხოლო დაამატა ის სტროფები, რომლებიც ავტორისეულად იქნა მიჩნეული. მნიგნობართა ასოციაციის გამოცემას ახლავს კომისიის მიერ საგანგებოდ ამ გამოცემისთვის შედგენილი მოკლე ლექსიკონი. გამოცემაში გამოყენებულია მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერის ფერადი ილუსტრაციები (1946 წ.). წიგნი მხატვრულად გააფორმა ანზორ თოდრიამ.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და გამოცემათა ისტორია საუკუნეებს მოითვლის. კერძოდ, გამოცემებს აქვს თითქმის სამსაუკუნოვანი ისტორია, ტექსტის თარგმანს კი – ორსაუკუნოვანი ისტორია.

მოკლედ ხელნაწერთა შესახებ: ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გადანერაზე ძირითადად სამეფო და დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახები ზრუნავდნენ, რადგან ხელნაწერის დამზადება ისეთ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, როგორსაც ყველა ვერ შეწევდებოდა. ამიტომ მათი დიდი ნაწილი სწორედ ასეთი ბიბლიოთეკებიდან შემოგვრჩა.

ამჟამად ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ძირითადად თავმოყრილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რამდენიმე მათგანი საზღვარგარეთ არის დაცული. კერძოდ, XVII საუკუნის ხელნაწერებიდან ორი ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში – მუხებათუნისეული (W-17) და თარხანმოურავისეული (W-22); პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში – 1702 წელს ყაზანთ ბეჟუას ქალის ალას გადანერილი P-10. აკად. შალვა ამირანაშვილის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის ყველაზე ძველი მინიატურები სწორედ პარიზულ ხელნაწერშია შემონახული.

ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები გვიანდელია, XVII-XIX საუკუნეებისა. უძველესი ფრაგმენტული ხელნაწერი XVI საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო პოემის ტექსტის უძველესი ფრაგმენტი – ვანის ქვაბების კედლებზე წარწერილი ორი სტროფი ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის მიწერილი წერილიდან – XV საუკუნით არის დათარიღებული. ხელნაწერები მხედრულით არის შესრულებული და მათი უმრავლესობა კალიგრაფიული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს; მათ შორის არის განსაკუთრებული მხატვრული დონით გამორჩეული ნიმუშები, რომელთა არშიები ოქროთია დაფერილი, ზოგჯერ გამოსახულია ორნამენტები, ცხოველები, ფრინველები. მაგალითად, ამგვარია გიორგი მეთერთმეტის დაკვეთით ბეგთაბეგის მიერ გადანერილი ხელნაწერი. მდიდრულად ორნამენტიზებული და შემკული ხელნაწერი იმთავითვე მიუთითებს, რომ იგი ან სამეფო საგვარეულოს კუთვნილებაა, ან შეძლებული დიდგვაროვანი ფეოდალისა.

ვეფხისტყაოსნის გამოცემებს შორის საეტაპო იყო 1712 წელს ვახტანგ მეექვსის მიერ განხორციელებული პირველი გამოცემა, რომლის ღირებულებას ზრდის თვით ვახტანგის „თარგმანება ვეფხისტყაოსანისა“. მეცნიერი და სწავლული მეფის ამ ნაშრომის

ღირებულების შესახებ ბევრი რამ დაინერა სამეცნიერო ლიტერატურაში; იგი მიჩნეულია რუსთველოლოგიის, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინის ერთ-ერთი სფეროს ფუძემდებლურ შრომად, რომლის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კვლევა. ამ გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა პოემის სტამბურ გამოცემათა ტრადიციას. პირველიდან მეორე გამოცემამდე გავიდა 129 წელი.

შოთა რუსთველის პოემა იბეჭდებოდა სხვადასხვა ადგილას, მაგალითად, მეორე გამოცემა 1841 წელს განხორციელდა სანქტ-პეტერბურგში მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის მიერ; ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა ბათუმში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალ სენაკში, ბერლინში, პარიზში... იყო წლები, როდესაც პოემის რამდენიმე გამოცემა განხორციელდა, მაგალითად, 1899 და 1927 წლებში – სამ-სამჯერ; 1937 წელს – ოთხჯერ; 1966 წელს – ექვსჯერ; 1986 წელს – სამჯერ.

ვახტანგისეული პუბლიკაციის შემდგომი გამოცემიდან XIX საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბროსე-ფალავანდიშვილი-ჩუბინაშვილისა (1841 წ.) და გ. ქართველიშვილისეული (1888 წ.); ეს უკანასკნელი რედაქცია მომზადებული იყო „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის“ მიერ.

XX საუკუნეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1937 წლის იუბილესთვის – ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლის აღსანიშნავად – აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა, რომელიც მაშინ ვერ განხორციელდა და მოგვიანებით, 50-იან წლებში, გამოვიდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო 1966 წლის რუსთველის საიუბილეოდ შემუშავებული ტექსტი, რომელმაც ერთხანს კანონიკური სახეც კი მიიღო, შემდგომ ხანებში მხოლოდ იგი იბეჭდებოდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 1966 წელს საიუბილეოდ გამოვიდა ვეფხისტყაოსნის მინიატურული გამოცემა.

1988 წელს გამოიცა აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი, კომისიისა, რომელიც 1962 წლიდან არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ამ გამოცემას მოჰყვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა, რომელთა გათვალისწინება მართლაც რომ აუცილებელი იყო მომდევნო გამოცემისას. საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო კომისიის მიერ მომზადებული ტექსტის შესწორებული გამოცემის განხორციელება ძალიან დაგვიანდა.

ამჯერად ხელთ გვაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის შედეგად მიღებული ტექსტი, რომლის მინიატურული გამოცემა განახორციელა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ. 1988 წლის გამოცემის შემდეგ მასში შევიდა შესწორებები. გამოცემის სამეცნიერო ღირებულებას ის განსაზღვრავს, რომ იგი წლების განმავლობაში არსებული სხვადასხვა შემადგენლობის კომისიის მიერ არის დადგენილი. ამ კომისიის წევრები იყვნენ ან გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერები გ. წერეთელი, ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ი. გიგინეიშვილი, ს. ცაიშვილი, ალ. გვახარია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე და სხვანი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს შესრულდა ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემიდან 295 წელი, ვახტანგ მეექვსის გარდაცვალებიდან – 270 წელი, სწორედ ამ მოვლენებს დაემთხვა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მინიატურული გამოცემის განხორციელება. ამგვარი რამ შემთხვევით არ ხდება.

ათასწლეულთა მიჯნაზე, XXI საუკუნის დამდეგს, უკვე განხორციელდა რამდენიმე გამოცემა, რომელთაგან ეს მინიატურული გამოცემა თავის სიტყვას იტყვის და კუთვნილ ადგილს დაიჭერს ვეფხისტყაოსნის გამოცემების ისტორიაში.

რუსთველის პოემა და მასში დასმული პრობლემები მარადიულია, ხოლო ჩვენს დღევანდელობაში ზოგიერთებისაგან გამოთქმული სკეპტიციზმი, რომ რუსთველის ეპოქა დასრულდა, მის სიდიადეს ვერაფერს დააკლებს. პირიქით, სწორედ იმით არის იგი უკვდავი, რომ ყოველდღიურად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, მისით დაინტერესებულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, უყვართ, აფასებენ და სწავლობენ მას, სწავლობენ მისგან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორ ქმედითად ეხმიანება ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკურ სააზროვნო სისტემებს.